



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაერთთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL
CENTRE OF MANUSCRIPTS

ენრიკო გაბიძაშვილი

90

Enriko Gabidzashvili

თბილისი • TBILISI

2021

რედაქტორი

ნინო მელიქიშვილი

საგამომცემლო-სარედაქციო ჯგუფი

**ნიკოლოზ ალექსიძე
ლანა გრძელიშვილი
სოფიკო მენტეშაშვილი
ვლადიმერ პერანიძე
თამთა ჯანაშია**

Editor

Nino Melikishvili

Editing and publishing team

**Nikoloz Aleksidze
Lana Grdzelishvili
Sophiko Menteshashvili
Vladimer Peranidze
Tamta Janashia**

ISBN 978-9941-9730-6-2

© კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2021

შინაარსი

ექვთიმე კოჭლამაზაშვილი ენრიკო გაბიაშვილი – 90	11
ზაზა აბაშიძე / ZAZA ABASHIDZE დავით IV აღმაშენებელი და ეკლესია / David IV the Builder and the Church.....	43
ცისანა აბულაძე / TSISANA ABULADZE ქრისტიანთა გამაჰმადიანების ერთი ოსმალური წესი ქართველების მაგალითზე / Ottoman Rule of Conversion of Christians to Islam on the Example of Georgians.....	61
ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი / ZAZA ALEKSIDZE, DALI CHITUNASHVILI ბიბლიოთეკები და წიგნების რეპერტუარი ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში / Libraries and Book Repertoires in Early Medieval Georgia	75
თამაზ გოგოლაძე / TAMAZ GOGOLADZE ახალი ეპიგრაფიკული მასალები ქვემო ქართლის სათავადოების ისტორიისათვის (XVII-XVIII საუკუნეები) / New Epigraphic Material for the History of Kvemo Kartli Principality (17-18 th cc).....	88
ეკა დუღაშვილი / EKA DUGHASHVILI ეფთვიმე ათონელისადმი მიძღვნილი ბერძნული ჰიმნოგრაფიული კანონი / Greek Hymnographic Canon dedicated to Euthymios the Hagiorite.....	116
მაია კარანაძე / MAIA KARANADZE ყდის ხელობასთან დაკავშირებული ანდერძები ტაოკლარჯული წარმომავლობის ხელნაწერებში / The colophons related to the art of book cover in the manuscripts of Tao-Klarjeti	130
ზურაბ კიკნაძე / ZURAB KIKNADZE საკრალურისა და პროფანულის სემანტიკისთვის / On the Semantics of the Sacred and the Profane.....	137
მაია მაჭავარიანი / MAIA MATCHAVARIANI მასალები წმინდანთა ხსენებების კალენდრების ისტორიისათვის / Materials for the History of the Calendars of the Saints' Feast Days	150

ნინო მელიქიშვილი / NINO MELIKISHVILI	
რამდენიმე ტერმინის შესახებ წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰომილიების ქართულ თარგმანებში / On Several Terms in the Georgian Translation St John of Damascus' Marian Homilies.....	184
ნათია მიროტაძე / NATIA MIROTADZE	
პირველი მეფეთას 6:7 – ტექსტოლოგიური სავარჯიშო / 1 Kingdoms 6:7 – Practicing Textology.....	202
მელისა მორემტონი / MELISSA MORETON	
უხილავის ხილვა: ანტიკური და შუა საუკუნეების ხელნაწერების მულტისპექტრული გადაღების ტექნოლოგია / The Vision of the Invisible: The Technology of Multispectral Imaging of Ancient and Medieval Manuscripts.....	230
თამარ ოთხმეზური / THAMAR OTKHMEZURI	
იოანე სინელის „კლემატის“ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციაში: ზოგადი მიმოხილვა / John of Sinai's The Ladder of Divine Ascent in the Georgian Literary Tradition.....	238
ნუგზარ პაპუაშვილი / NUGZAR PAPUASHVILI	
ორი მოულოდნელი ეპიზოდი „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“: სასწაული აკლდამაში და მწყემსი ბიჭისაგან შეწირული მსხვერპლი კლარჯეთში / Two Unusual Episodes from the Life of Gregory of Xanc't'a.....	255
ნიკოლოზ ჟღენტაძე / NIKOLOZ ZHGHENTI	
ტაოკლარჯული წარმომავლობის სიძველე მთის წმ. გიორგის მონასტრიდან – XI საუკუნის საკურთხეველისწინა ჯვრის უცნობი ფრაგმენტი იშხნიდან? / The Relic of A Tao-Klarjetian Origin from Mtis St. George's Monastery: Fragment of an Unknown 11 th -Century Pre-Altar Cross from Iṣxani?	274
მაია რაფაშაძე / MAIA RAPAVA	
ნიკიტა სტითათის ეპისტოლეების ქართული თარგმანების ბერძნულთან მიმართების შესახებ / On the Relation of the Georgian Translations with the Greek texts of Niketas Stethatos' Letters	287
მზია სურგულაძე / MZIA SURGULADZE	
„მატიანე ქართლისა“ და ბიზანტიური ისტორიოგრაფია. ინდივიდის როლი ისტორიულ მოვლენებში / Matiane K'art'lisha and Byzantine Historiography: The Role of an Individual in Historical Events	297
ლავა ტყეპუჩავა / LASHA TKEBUCHAVA	
ერთი კითხვა-მიგებითი თხზულების ექვთიმე ათონელისეული თარგმანი / Concerning a Translation of One 'Questions and Responses' Text By Euthymios the Hagiorite.....	305
ლავა ტყეპუჩავა / LASHA TKEBUCHAVA	
ევაგრე პონტოელის აპოფთეგმის ექვთიმე ათონელისეული თარგმანი / Euthymios the Hagiorite's translation of Evagrius Ponticus' Apophthegmata.....	320

ბერნარ შტიე / BERNARD OUTTIER

მაქსიმე აღმსარებლის ღვთისმშობლის ქების ერთი ძველი, უცნობი ფრაგმენტი /
One old, unknown Fragment of the Life of the Virgin by Maximus the Confessor335

ირაკლი ფაღავა / IRAKLI PAGHAVA

ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა /
1765/6-1768/9 (AH 1179-1182) Monetary Reform of Irakli II, King of Kartl-K'akheti343

ნანა ჩიკვატია / NANA CHIKVATIA

არსენ ვაჩეს ძის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ (ანასტასი სინელის
„წინამძღუარის“ თარგმანზე დართული სქოლიოების მიხედვით) /
Concerning the Colophons of Anastasius Sinaita's Odegos.....371

თემო ჯოჯუა / TEMO JOJUA

მანდატურთუხუცეს სარგის II ჯაყელის მეუღლის – თამარ თორელისა და თამარის
დედის – ხათუთა სურამელის ალაპი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარიდან
(ჯაყელთა და თორელთა ფეოდალური სახლების XIII-XIV საუკუნეების ისტორიის
ზოგიერთი საკითხის შესახებ) / The Commemorations from the Jvari Monastery
Synaxarion of Khatuta Surameli, the Second Wife of Mandaturtukhutsesi Sergis II
and the mother of Tamar Toreli and Nun Tamar (on the questions of 13th-14th
century history of Jakeli and Toreli Feudal Houses).....395

მაგდა მჭედლიძე / MAGDA MTCHEDLIDZE

ჰექსამერონულ თხზულებათა ძველი ქართული თარგმანების მნიშვნელობა
ქართული ბიბლიის ტექსტის ისტორიისათვის / The Significance of the
Old Georgian Translations of Hexaemeron works for the Textual History of the
Georgian Bible.....424

ანა ხარანაული / ANNA KHARANAULI

ბიბლიის კანონი და მასთან დაკავშირებული ტერმინები ქართულ ნათარგმნ
და ორიგინალურ ტექსტებში / Biblical Canon and Canon-related Terminology
in the Georgian Translated and Original Writings460

სათუნა გაფრინდაშვილი, დალი ჩიტუნაშვილი, ირმა ხოსიტაშვილი /

KHATUNA GAPRINDASHVILI, DALI CHITUNASHVILI, IRMA KHOSITASHVILI

ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ (მატენადარანის ქართული ფრაგმენტების
ფონდი) / Following to the Georgian Manuscripts:
The Georgian Fragments Fund of the Matenadaran475

მაია მაჭავარიანი

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

მასალები წმინდანთა ხსენებების კალენდრების ისტორიისათვის

წერილი I

ქართული სახელმწიფოსა და ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდი არის X-XI საუკუნეები. ამ დროს საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაძლიერდა, ჩაეყარა საფუძველი ქვეყნის მომავალ გაერთიანებას, განახლდა და განვითარდა კულტურულ-განმანათლებლური საქმიანობა, საეკლესიო ცხოვრება. იერუსალიმის დაქვეითებამ კიდევ მეტად განამტკიცა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული კავშირი აღზევებულ ბიზანტიასთან, რისი ერთ-ერთი შედეგიც გახდა ქართული ეკლესიის ღვთისმსახურების წესის შეცვლა – გადასვლა იერუსალიმური ღვთისმსახურების ტრადიციიდან კონსტანტინოპოლურზე. ტრანსფორმაციის ეს პროცესი აისახა იმ პერიოდის ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებშიც, მათ შორის, საეკლესიო დღესასწაულებისა და წმინდანთა ხსენებების კალენდრებში.

ქართული ღვთისმსახურების წესის ჩამოყალიბების ისტორია დღემდე გადარჩენილი ქართული ლიტურგიკული ძეგლების მიხედვით პირობითად შეიძლება რამდენიმე ეტაპად დაიყოს. უძველეს პერიოდში, ანუ V საუკუნიდან მოყოლებული X საუკუნემდე ქართული ღვთისმსახურება იერუსალიმურ წესს მიყვებოდა. ამ პერიოდის იერუსალიმური ლიტურგიკული პრაქტიკის ამსახველი ორიგინალური ტექსტები დღეისათვის დაკარგულია. ამ წეს-განგების შესახებ მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ უძველესი ქართული და სომხური თარგმანების მიხედვით. მათგან ერთი არის იერუსალიმური ლექციონარი, რომელმაც შემოგვინახა VII საუკუნის თარგმანი და რომელიც საქართველოს ეკლესიებში X საუკუნემდე ტიპიკონის ფუნქციას ასრულებდა. იერუსალიმურ ლექციონარში კალენდარი იწყება შობის წინა დღით, 24 დეკემბრით; მასში

ასახულია სრული ლიტურგიკული წელი, მათ შორის, წმინდანთა ხსენებების სრული ციკლი (Tarchnishvili 1959; Tarchnishvili 1960).

იერუსალიმური წეს-განგებებიდან კონსტანტინეპოლურზე გადასვლის პროცესის ამსახველი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ხელნაწერია Cod. Sin. iber. 34, რომელიც X საუკუნის 40-60-იან წლებში შეადგინა საბა განწმენდლის ლავრის ბერმა იოანე-ზოსიმემ (Garitte 1958). ამ ხელნაწერის კალენდარი განსაკუთრებით საყურადღებოა იმის გამო, რომ აქ „წერილ არიან დღესასწაულნი ყოველნი ახალნი და ძუელნი სრულიად“, იერუსალიმური ლექციონარის კალენდარს დართული აქვს საბაიტური და კონსტანტინოპოლური (Garitte 1958: 20-37), ასევე, ქართველი წმინდანების ხსენებებიც (Garitte 1958: 36).

ქართული ეკლესიის ლიტურგიკული პრაქტიკის კონსტანტინოპოლიზაციისათვის აუცილებელი იყო შესაბამისი საღვთისმსახურო დანიშნულების ლიტურგურის თარგმნა. ეს განხორციელდა ათონის მთაზე 980-983 წლებში, ქართველთა მონასტრის დაარსების შემდეგ. მას საფუძველი ჩაუყარა ექვთიმე ათონელმა ახალი ტიპიკონის, ე. წ. „მცირე სვინაქსარის“ შექმნით.¹ თხზულება მოღწეულია ერთადერთი, ძლიერ დაზიანებული ხელნაწერით და 1030 წლით თარიღდება. კ. კეკელიძის აზრით, ექვთიმემ თავისი სვინაქსარი შეადგინა კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის ტიპიკონის იმ რედაქციაზე დაყრდნობით, რომელიც ახლოს იყო ა. დმიტრიევსკის მიერ გამოცემულ ე. წ. პატმოსის სვინაქსართან (Кекелидзе 1912: 21).

გიორგი მთაწმიდელის „დიდი სვინაქსარი“ (დიდი სვინაქსარი 2017) არის, ფაქტობრივად, დაგვირგვინება ქართული ღვთისმსახურების კონსტანტინოპოლურ წესზე გადასვლის პროცესისა. „დიდი სვინაქსარი“ არის „ათონურ-სტუდიური სვინაქსარი, რომლის მთავარი წყარო უნდა ყოფილიყო დაკარგული ბერძნული მთაწმიდური დიდი სვინაქსარი“ (დიდი სვინაქსარი 2017: 010). XI საუკუნეში შექმნილი ეს უმნიშვნელოვანესი თხზულება მთავარი სახელმძღვანელო იყო ქართული ეკლესიის ღვთისმსახურებისათვის და საქართველოში XII საუკუნეში გავრცელებული საბაწმიდური ტიპიკონის სვიმეონწმიდის რედაქციასთან ერთად თანაბრად გამოიყენებოდა XVIII საუკუნემდე.

ჩვენი მიზანია, ამ ოთხი თხზულების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, წარმოვაჩინოთ წმინდანთა ხსენებების ქართული კალენდრების ჩამოყალიბების პროცესი, წარმოვადგინოთ წმინდანები, რომლებიც იხსენიებოდნენ ქართული ღვთისმსახურების წესის ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპზე, გავადევნოთ თვალი, ვინ იხსენიებოდა ადრეულ პერიოდში, რომელი წმინდანების ხსენება დაემატა მოგვიანებით და ვისი ხსენება შეწყდა. მასალის სიმრავლის გამო ამ ეტაპზე წარმოვადგენთ კვლევის მხოლოდ ერთ ნაწილს – წმინდანებს,

¹ ექვთიმე მთაწმიდლის „მცირე სვინაქსარის“ ტექსტს და გამოკვლევას გამოსაცემად ამზადებს დალი ჩიტუნაშვილი. მადლობას ვუხდით მას, რომ მოგვცა საშუალება გამოგვეყენებინა მისი ხელნაწერი.

რომლებიც გვაქვს ოთხივე კალენდარში, რომელთა ხსენება დაიწყო ქართული ღვთისმსახურების ადრეულ ეტაპზე და გაგრძელდა ბიზანტინიზაციის შემდგომაც.

კალენდრებში წმინდანების ხსენებები ბევრია, ხშირად წმინდანები მოიხსენებიან მხოლოდ სახელით, სახელები მეორდება – ძნელი გასაგებია, ერთსა და იმავე წმინდანზე საუბარი, თუ სხვადასხვაზე. შედარების პროცესში მთავარი იყო, განგვესაზღვრა ის ფაქტორები და გარემოებები, რომელთა არსებობაც გადამწყვეტი იქნებოდა წმინდანთა გაიგივებისა თუ განსხვავებისათვის. ამ ფაქტორების განსაზღვრაც რთული აღმოჩნდა, – კვლევამ აჩვენა, რომ ისეთი ტრადიციული კრიტერიუმები, როგორცაა ხსენების დღეები, წმინდანთა სახელები და სხვა, ხშირ შემთხვევაში არ იძლევა საკმარის საფუძველს განსახილველ კალენდრებში წმინდანთა გაიგივებისა თუ განსხვავებისათვის. ქვემოთ განვიხილავთ ამ კრიტერიუმებს:

1) წმინდანთა სახელები

კალენდრებში ბევრია ერთი სახელის მქონე სხვადასხვა წმინდანი. ასე, მაგალითად, არის ექვსი სტეფანე – დიდმოწამე სტეფანე, სტეფანე დაყუდებული საბანშიდელი, სტეფანე კვპრელი მთავარეპისკოპოსი, სტეფანე საბანშიდელი, დისწული იოანე დამასკელისა, სტეფანე ახალი. იოანე-ზოსიმესთან 27/07¹ იხსენიება რამდენიმე სუმეონი და იოანე-ზოსიმე უმატებს – „სამთა სუმეონთა მესუეტეთაჲ არს“. ასევე, გიორგის დიდ სვინაქსარში ერთ დღეს (06/03) არის ორი მოწამე კონონის ხსენება, ერთი არის კონონი ისავრიელი და მეორე – კონონი მებოსტნე. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში სახელების დამთხვევის გამო ხდებოდა წმინდანთა აღრევა და ამ აღრევის თავიდან ასაცილებლად მოსახსენებელში წმინდანის სახელს ემატებოდა სხვა ინფორმაციაც – მოწამე იყო თუ მღვდელმოწამე, სასულიერო თუ საერო წოდება, სად მოღვაწეობდა ან სად ეწამა და სხვა.

სირთულეს ქმნის ის გარემოებაც, რომ ერთი და იმავე წმინდანის სახელი კალენდრებში ხშირად სხვადასხვანაირადაა ჩანერილი. მაგალითად, 13/04 ექვთიმესთან იხსენიება ზოლონი ჰრომის, გიორგისთან – ზოილე ჰრომის; 24/07 ლექციონარში არის სავლტი, იერუსალიმელი ეპისკოპოსი, იოანე-ზოსიმესთან კი – სალოსტინე, ეპისკოპოსი იერუსალიმელი; 02/04 იოანე-ზოსიმესთან არის ხსენება „ალფიანჭსი და თევდოსიაჲსი მოწამეთაჲ“, გიორგისთან კი – „ამფიანე და ედისოსი“.

წმინდანთა სახელების დაწერილობა სხვაობს ხოლმე არა მხოლოდ კალენდრიდან კალენდარში, არამედ ერთი კალენდრის ფარგლებშიც. მაგალითად, ექვთიმეს სვინაქსარში 19/03 მოიხსენიებიან ხრკსანთო და დარია, ამავე წმინ-

¹ წმინდანთა ხსენების თარიღები აქაც და ცხრილშიც მითითებულია ერთი პრინციპით – რიცხვი/თვე.

დანების მეორე ხსენებაა 17/10, ოღონდ ამჯერად გვაქვს „ხრუსანთო და დარიპო“. იმავე დღეებში გიორგისთანაც იხსენიებიან ხრუსანთო და დარია, ასე რომ აქ სხვა წმინდანებზე ლაპარაკი ვერ იქნება. იოანე-ზოსიმესთან ერთი სახელის ნაირგვარი ვარიაციაა:² 10/02 თერსო, 26/04 თორსო, 08/08 თურსო.

2) ხსენების დღეები

წმინდანთა იდენტიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ხსენების დღე. ერთი სახელის მქონე რამდენიმე წმინდანის მთავარი განმასხვავებელი შეიძლება სწორედ ხსენების დღე იყოს. მაგალითად, ხსენების სხვადასხვა დღეების საფუძველზე არქიეპისკოპოსი სერგი გამოყოფს 7 სხვადასხვა მოწამე თეკლას (Полный Месяцеслов Востока 1876: 160-161, 193).

ამასთან ერთად, ერთი და იმავე წმინდანის ხსენების დღეები კალენდრიდან კალენდარში ძალიან სხვაობს უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში. სხვა გარემოებებთან ერთად, განსხვავებებს განაპირობებდა ისიც, რომ ერთსა და იმავე წმინდანთან დაკავშირებით სხვადასხვა ეკლესიაში აღნიშნავდნენ სხვადასხვა თარიღს – გარდაცვალებას, წამებას, ნაწილთა გადატანას. სადღესასწაულო დღეს ირჩევდა ხოლმე თავად კალენდრის შემდგენელი. ეს კარგად ჩანს X-XI სს-ის ბერძნულ მენოლოგიონებსა და სხვა კრებულებში (Никифорова 2012: 142-143; Полный Месяцеслов Востока 1901: 15-17; Полный Месяцеслов Востока 1876: 3-8).

ქართულ კალენდრებშიც ანალოგიური ვითარებაა – ერთი და იმავე წმინდანების ხსენების დღეები განსხვავდება კალენდრიდან კალენდარში. მაგ.:

ა) დღეების წანაცვლება ექვთიმესა და გიორგის სვინაქსარებში: ალაპიტო ჰრომთა პაპი: ექვთიმესთან ხსენების დღეა 18/04, გიორგისთან – 17/04; დიოდორე და როდოპიანი (როდოპიანე), მოწამენი: ექვთიმესთან – 30/04, გიორგისთან – 29/04; ზაქარია წინასწარმეტყველი: ექვთიმესთან – 15/05, გიორგისთან – 16/05.

ბ) მნიშვნელოვნად განსხვავებული ხსენების დღეები: ტიმოთე დიაკონი და ცოლი მისი მავრა, მოწამენი: ლექციონარში და იოანე-ზოსიმესთან ხსენების დღეა 03/06 (იოანე-ზოსიმესთან კიდევ ერთი ხსენებაა 18/03), ექვთიმესა და გიორგისთან – 03/05; იონა წინასწარმეტყველი: ექვთიმესთან და გიორგისთან ხსენებაა 22/09, ლექციონარში და იოანე-ზოსიმესთან იხსენიება 10/12; პოპლიოს, მონაზონი და მოწამე: ექვთიმესა და გიორგისთან ხსენებაა 27/04, იოანე-ზოსიმესთან (ლექციონარში არ არის) – 18/06; იოვანე იერუსალიმელი პატრიარქი: ლექციონარში და იოანე-ზოსიმესთან ერთდროულად იხსენიება 19/04, 27/11, 07/12; გიორგისთან მხოლოდ ერთი ხსენებაა 29/03.

² გავითვალისწინოთ, რომ აქ საუბარია არა ერთსა და იმავე წმინდანზე, არამედ ერთსა და იმავე სახელზე, რომელიც რამდენიმე წმინდანს შეიძლება ჰქონოდა. სხვათა შორის, გიორგისთან ეს სახელი გვხვდება მხოლოდ „თურსო“ ფორმით და სულ ორჯერ – 16/08 და 14/12.

აქ განზრახ მოვიყვანეთ ისეთი მაგალითები (და ასეთი საკმაო რაოდენობითაა), რომლებშიც თითოეული წმინდანისთვის დართული მცირე ინფორმაცია (იერუსალიმელი პატრიარქი, წამება ცოლთან ერთად და სხვა) მის ვინაობას უეჭველს ხდის.

3) ჯგუფური ხსენებები

აქ ვგულისხმობთ რამდენიმე წმინდანის ერთად ხსენებას – ხშირ შემთხვევაში ესენი არიან ერთი ოჯახის წევრები (როგორც, მაგ., პისტი, ელპიდი, აღაპი და დედა მათი, სოფია, რომელთა ხსენებაა 01/08), ან სხვა გარემოებით დაკავშირებული წმინდანები (როგორც, მაგ., საკვირველმოქმედი კვიროს და იოვანე და სამი ქალწული – თეოდოტი, თეოკტისტი და ევდუქსია, რომელთა ხსენებაც არის 31/01), რომლებიც ეწამნენ ერთდროულად ან დროის მოკლე პერიოდის განმავლობაში და ამიტომ ერთად მოიხსენებიან.

საინტერესოა, რომ მსგავს ხსენებებში არის ხოლმე ცალკეული სახელების აღრევა/ცვლილების შემთხვევები, მაგ. 28/04 ექვთიმესთან მოიხსენიებიან „მაქსიმოს, დადა და ნოტიანე, მონამენი“, ხოლო გიორგისთან – „მაქსიმო, დადა და კუნტილიანე, მონამენი“.¹

4) უსახელო ხსენებები

აქ ლაპარაკია, ასე ვთქვათ, ანონიმური ჯგუფური წამების შემთხვევებზე, როდესაც კალენდარში იხსენიება მონამეთა მხოლოდ რაოდენობა და არა სახელები, მაგ. 09/03 „ორმეოცთა, რომელნი იწამნეს სევასტიას“.

მაგრამ აქაც ძალიან ხშირია რაოდენობათა აღრევა, მაგ.: 27/08 ექვთიმესთან არის 23 მონამე ნიკომედიას, გიორგისთან – 33; 06/06 ლექციონარში არის „ათასთა მონამეთა“, იოანე-ზოსიმესთან – „ათასთა და სამასთა მონამეთა“; და სხვა.

5) დამატებითი ინფორმაცია – მღვდელთმოდღართა წოდებები

სასულიერო პირები კალენდრებში ხშირად იხსენიებიან წოდებით, მაგ. მღვდელი, ეპისკოპოსი, პატრიარქი. აქაც ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე წმინდანი ხსენების ერთსა და იმავე დღეს სხვადასხვა კალენდარში მოიხსენიება სხვადასხვა წოდებით, მაგ. 19/01 იოანე-ზოსიმესთან არის თევდოტი ხუცის ხსენება, ექვთიმესთან და გიორგისთან კი გვაქვს „თეოდოტი, კვრინელი ეპისკოპოსი“; 18/03 ლექციონარში იხსენიება „კირილე, იერუსალიმის მთავარეპისკოპოსი“, იოანე-ზოსიმესთან კი გვაქვს „კვრინელი, იერუსალიმის“.

¹ გიორგისთან გვაქვს ამ წმინდანთა კიდევ ერთი ხსენება და იქ ისევე სახელი „კუნტილიანე“ მეორდება: „მაქსიმე, დადა და კუნტილიანეს, მონამეთა, ნაწილთა პოვნა“ 02/08.

მელი პატრიარქი“; 03/09 იოანე ზოსიმესთან არის „ანთიმოს ხუცი, მონამე“, გიორგისთან კი – „ანთიმოს, ნიკომიდიელი ეპისკოპოსი“.²

6) დამატებითი ინფორმაცია – გეოგრაფიული ლოკაციები

კალენდრებში წმინდანების სახელებთან ერთად ზოგიერთ შემთხვევაში მოტანილია გეოგრაფიული ლოკაციებიც: დაზუსტებულია წმინდანის წარმომავლობა, სად მოღვაწეობდა ან სად ეწამა. თუმცა აქაც არის აღრევის შემთხვევები, მაგ. 18/04 ლექციონარში და იოანე-ზოსიმესთან არის პეტრეს ხსენება, რომელიც, ლექციონარის მიხედვით, არის „იერუსალიმის მთავარეპისკოპოსი და მონამე“, იოანე-ზოსიმესთან – „ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსი და მონამე“.

აღრევის თუ ცვლილების ყველა ეს მაგალითი და მათი სიმრავლე, ჩვენი აზრით, გვაძლევს უფლებას, დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ზემოთ მოტანილი კრიტერიუმებიდან ცალკე აღებული არცერთი არ არის საკმარისი წმინდანების გაიგივებისა თუ განსხვავებისათვის. საჭიროა რამდენიმე კრიტერიუმის ერთდროული გათვალისწინება. ქვემოთ მოტანილ ცხრილში წარმოდგენილი სია იმ წმინდანებისა, რომლებიც საერთოა ოთხივე კალენდრისათვის, სწორედ ასეთი მეთოდით არის შედგენილი.

შედარებისას, ვინაიდან ერთი და იმავე წმინდანის (თუ წმინდანთა ჯგუფების ან სხვა დღესასწაულების) ხსენების დღეები კალენდრებში განსხვავებულია, ძირითად კალენდრად ავირჩიეთ დიდი სვინაქსარი, წმინდანთა ხსენებების თანამიმდევრობა დიდი სვინაქსარის მიხედვითაა განყოფილი. ეს არჩევანი რამდენიმე გარემოებამ განაპირობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გიორგის მიერ შედგენილი დიდი სვინაქსარი იქცა ქართული ღვთისმსახურების ბიზანტინიზაციის პროცესის დაგვირგვინებად და ქართულ ლიტურგიკაში სახელმძღვანელოდ დარჩა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. დიდი სვინაქსარის სათვეო ნაწილი წარმოადგენს კონსტანტინეპოლის დიდი ეკლესიის ტიპიკონის სათვეო ნაწილის თარგმანს და, მთარგმნელის სიტყვით, „არცა მათ (ბერძენთა – მ. მ.) თანა დიად იპოების ესევითარი სვინაქსარი თვნიერ სოფიანმიდისა და ასტუდიისა“ (A-97, 290r; დიდი სვინაქსარი 2017: 041). ამდენად, ამ დოკუმენტში წარმოდგენილია მაქსიმალურად სრული სია წმინდანებისა, რომელთაც პატივს მიაგებდნენ იმ პერიოდის კონსტანტინოპოლში, აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს მაშინდელ ცენტრში.

დიდი სვინაქსარი განსაკუთრებით საყურადღებოა იმიტომაც, რომ გარდა წმინდანების ვრცელი სიისა, წმინდანების მოსახსენებლებზე დართულ ტექ-

² ხსენებას დართული ტექსტის მიხედვით მონამეა.

სტებში მოტანილია ხოლმე შეძლებისდაგვარად სრული ბიოგრაფიული მონაცემები – დაბადების ადგილი, მშობელთა სახელები, მოღვაწეობის ადგილი და სხვა, მაგ., 08/07 მონამე პროკოპი „იყო ჟამთა დეოკლიტიანე მეფისათა შობილი ელიონ ქალაქსა შინა, რომელ არს იერუსალემი, შვილი მამისა ქრისტეანისაჲ, რომლისა სახელი ქრისტეფორე, ხოლო დედისა წარმართისაჲ, რომელსა ეწოდებოდა თეოდოსია“. როგორც უკვე ითქვა, გვაქვს არა ერთი შემთხვევა, როდესაც კალენდრებში ერთსა და იმავე დღეს იხსენიება ერთი და იმავე სახელით რამდენიმე სხვადასხვა წმინდანი და მათი გაიგივებისა თუ განსხვავებისათვის დამატებითი ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, 22/04 ლექციონარში არის ხსენება „თეოდორესი სიკეონ ქალაქსა“. იმავე დღეს ექვთიმესა და გიორგისთან ასევე არის თევდორეს ხსენება, მაგრამ ეს არის „თეოდორე ანასტასიპოლელი ეპისკოპოსი, სასწაულთმოქმედი“. დიდ სვინაქსარში წმინდანის ხსენებას დართული ტექსტიდან ვიგებთ, რომ თევდორე ყოფილა წარმომავლობით დაბიდან სიკიისა და მოღვაწეობდა ანასტასიპოლში და უკვე ამ მონაცემების საფუძველზე ცხადი ხდება, რომ კალენდრებში ერთსა და იმავე თევდორეზეა საუბარი.

ბიოგრაფიული მონაცემების გარდა, ტექსტებზე ასევე დართულია ხოლმე დამატებითი კომენტარები როგორც, მაგალითად, წმ. იპოლიტეს შემთხვევაში, სადაც 08/08-ში წმინდანის ხსენებას დართული ტექსტის ბოლოს წერია: „ხოლო ეს იპოლიტე სხუაჲ არს და იპოლიტე პაპი სხუაჲ არს“, ან კოზმან და დამიანეს შემთხვევაში, როდესაც წმინდანების 01/07-ის ხსენებაზე დართულია ასეთი კომენტარი: „ხოლო უწყებაჲ ჯერ არს, ვითარმედ სამნი არიან კოზმან და დამიანენი: ერთნი – არაბიელნი, რომელნი ინამნეს დიოკლეტიანეს ზე, და ერთნი – ესენი, რომელნი ჰრომს დაიქოლნეს კარინესს მეფობასა, და კუალად – თეოდოტიას ძენი, რომელნი სინმიდით აღესრულნეს“.¹

აღვნიშნავთ კიდევ ერთ მომენტს. იმავე კოზმან და დამიანეს თუ დავუბრუნდებით, სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დადგენილია, რომ ერთნაირი სახელების მქონე წმინდანების ეს სამი სხვადასხვა წყვილი სინამდვილეში მომდინარეობს ერთი წყვილისგან. რეალურად არსებობდა ერთი კოზმანი და ერთი დამიანე და მათი ისტორია დროთა ვითარებაში განივრცო და ტრანსფორმირდა სამ სხვადასხვა ვერსიად (Esbroeck 1975, Esbroeck 1981). იგივე ვითარებაა ფოკას, კონონის და, სავარაუდოდ, ზოგიერთი სხვა წმინდანის შემთხვევაშიც. მაგრამ ყველა წმინდანს, ისტორიულად რეალურს თუ გამოგონილს, კალენდარში შეყვანის მომენტისათვის უკვე აქვს თავისი ისტორია, ხსენების დღე, იგი ცნობილი და გამორჩეულია იმ პერიოდის მრევლისთვის და სწორედ ამის გამო შეაქვთ კალენდარში. ამიტომაც კალენდრების ცვლილების პროცესის კვლევისას მნიშვნელობა აქვს კალენდრის თანადროულ და არა ისტორიულ რეალობას. ჩვენც შედარებისას არ გაგვითვალისწინებია კოზმან

¹ Delehaye-ს გამოცემულ სვინაქსარში 01/07 კოზმან და დამიანეს ტექსტს დართული კომენტარი არის. იპოლიტე იხსენიება სულ სხვა დღეებში (29/01, 30/01 და 13/07). მსგავსი მინაწერი იქ არ ჩანს.

და დამიანეს თუ სხვა მსგავსი შემთხვევები და კონსტანტინოპოლში მიღებულ წმინდანთა იდენტიფიკაციისათვის დავეყრდენით გიორგის დიდი სვინაქსარის მონაცემებს.

ცხრილში კალენდრების მონაცემები წარმოდგენილია ცალ-ცალკე სვეტებში. თუ დანარჩენ კალენდრებში წმინდანის ხსენება დიდი სვინაქსარისაგან განსხვავებულ დღესაა, მაშინ ცხრილის შესაბამის უჯრებში ეს ხსენება მოტანილია იტალიკით.

მცირე სვინაქსარი, როგორც უკვე ითქვა, ერთადერთი, ძლიერ დაზიანებული ხელნაწერით არის მოღწეული და ტექსტს ბევრი აკლია. შესაბამისად, ცხრილშიც, მცირე სვინაქსარის სვეტში, ბევრი უჯრა ცარიელია.

თუ ერთი და იმავე წმინდანის ხსენება სამ კალენდარში მაინც ერთ დღეს არის, მას კომენტარს აღარ ვურთავთ (გამონაკლისების გარდა) და ვგულისხმობთ, რომ მცირე სვინაქსარშიც იქნებოდა ხსენება, რომელიც დღეს არ ჩანს ხელნაწერის დაზიანების გამო.

ბოლო სვეტში არის კომენტარები. მათ შორის, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, საჭიროებისდა მიხედვით აღნიშნულია ის კრიტერიუმები, რის საფუძველზეც შესაძლებლად მივიჩნიეთ სხვადასხვა კალენდრების ხსენებების გაერთიანება და წმინდანების გაიგივება.

როგორც უკვე ვთქვით, ეს არის წმინდანთა ხსენებების კალენდრების კვლევის საწყისი ეტაპი. ვგეგმავთ ლექციონარში არსებული წმინდანების და იოანე-ზოსიმეს კალენდარში შემოყვანილი ახალი წმინდანების კვლევას, ვფიქრობთ, რომ ამასთან ერთად მომავალში კიდევ დაზუსტდება ოთხი ქართული კალენდრისათვის საერთო წმინდანების სია და მათი ვინაობა.

დღე/თვე	იერუსალიმის ლექციონარი	იოანე ზოსიმეს კალენდარი	მცირე სვინაქსარი (ექვთიმე მთაწმიდელი)	დიდი სვინაქსარი (გიორგი მთაწმიდელი)	კომენტარები
01/01	ბასილი კესარიელი	ბასილი კესარიელი	ბასილი კესარიელი	ბასილი კესარიელი	
02/01	სილიბისტრო, რომის პაპა	სილიბისტრო, რომის პაპა	სილიბისტრო, რომის პაპა	სილიბისტრო, რომის პაპა	ლექც.-ში, იზ ⁷ -სთან და გიორგისთან კიდევ ხსენებაა 01/03
15/01	პავლე ამბა	პავლე განშორებული	პავლე თეზაიდელი	ამბა პავლე თეზაიდელი	იზ-სთან პავლე განშორებული 18/01, აგრეთვე, 21/09, 31/10, 06/11; ლექც.-ში და იზ-სთან ხსენება ერთად 03/02; გიორგისთან 05/01, 29/10
17/01	ანტონი დიდი	ანტონი დიდი	ანტონი დიდი	ანტონი დიდი	

⁷ აბრევიატურით „იზ“ აღვნიშნავთ იოანე-ზოსიმეს.

18/01	ათანასე ალექსანდრიელი	ათანასე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსი	ათანასე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსი	ათანასე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსი	ოთხივე კალენდარში კიდევ ერთი ხსენებაა 02/05
18/01	კირილე ალექსანდრიელი	კირილე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსი	კირილე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსი	კირილე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსი	ლექც.-ში და იზ-სთან იხსენიება 20/06
20/01	ეფთვიმე მამა	ეფთვიმე საკვირველმოქმედი	ეფთვიმე დიდი	ეფთვიმე დიდი	
22/01	ტიმოთე, პირველი ეპიკოპოსი ეფესოს	ტიმოთე მოციქული	ტიმოთე მოციქული	ტიმოთე მოციქული	ლექც.-ში და იზ-სთან ერთად კიდევ ხსენებაა 18/02; ეფესოს ეპისკოპოსობა ჩანს მისი ცხოვრების ამსახველ ტექსტში* – გაიგივდა ამის საფუძველზე
23/01	კლემენტოს მღვდელთმოდღუარი	კლემენტოს ანკვირელი მთავარეპიკოპოსი და აგათონი	კლიმი ანკვირელი და ალათანგელოზი	კლიმი ანკვირელი და ალათანგელოზი	
25/01	გრიგოლ ეპისკოპოსი ანტიანდორეველი	გრიგოლ ღვთისმეტყველი		გრიგოლ ღვთისმეტყველი	ლექც.-ში 15/11 არის გრიგოლი ნანდიადორეველი ეპისკოპოსის ხსენება, იმავე დღეს იზ-სთან არის სხვა გრიგოლის, საკვირველმოქმედის, ხსენება; ჩანს, აღრევაა.
27/01	იოანე ოქროპირი	იოვანე ოქროპირი კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსი		იოანე ოქროპირის ნაწილთა უკმოყვანება	
28/01	ეფრემი, მამა	ეფრემი		ეფრემ ასური	ლექც.-ში იზ-სთან ერთად ხსენება არის 01/02, ლექც.-ში მეტი ეფრემი არ არის და დროითაც ახლოსაა – ამის საფუძველზე გაიგივდა.

* ტექსტი მზადდება გამოსაცემად, გადმონერილია ჩვენ მიერ კ. კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XII-XIII სს-ის ჰაგიოგრაფიული კრებულიდან (A-79, 207r-250v).

31/01	<i>კვროს ამბა და იოვანე</i>	კვროს ამბა და იოვანე, მათ თანადედათა მონამეთა ოთხთა		საკვირველმოქმედი კვიროს და იოვანე და სამი ქალწული, თეოდოტი, თეოკტისტი და ევლუქსია	ლექც.-ში და იზ-სთან ერთად კიდევ არის 28/06 – გაიგივება ერთნაირი სახელების გამო (წმინდანების სხვა წყვილი ამავე სახელებით ვერ ვნახეთ)
03/02	<i>ანა, წინასწარმეტყველი</i>	ანა, წინასწარმეტყველი		ანა, წინასწარმეტყველი	არის ორი ანა წინასწარმეტყველი: ძველ აღთქმაში სამოელ წინასწარმეტყველის დედა (I მეფეთა, 1,1-2, 11, ხსენების დღე 09/12) და ახალ აღთქმაში ლუკას სახარებაში (ლუკა 2, 36-37) ანა (ხსენების დღე 03/02, 28/08) ⁹ . ხსენების დღეების მიხედვით, ეს უნდა იყოს ახალი აღთქმის ანა. ლექც.-ში ხსენებაა 01/02 – გაიგივდა პერიოდის სიახლოვის გამო
07/02	<i>პართენე ეპისკოპოსი</i>	პართენი ეპისკოპოსი		პართენი, ლამფსაკელი ეპისკოპოსი	ლექც.-ში ხსენებაა 16/02 (ამ დღეს იზ-სთანაც არის), ამის მეტი სახელი პართენე/პართენი არცერთ კალენდარში არ გვაქვს
14/02	<i>ევქსანტი</i>	ევქსანტი	ავქსენტი	ავქსენტი	საკვირველმოქმედი

⁹ Православная Энциклопедия, Пророчица Анна, იბ. ბმულები: <https://www.pravenc.ru/text/115542.html> და <https://www.pravenc.ru/text/115544.html>.

15/02	<i>ეფროსინე</i>	<i>ეფროსინე</i>		ეფროსინე და მამა მისი პაფნუტი	გიორგისთან ეფროსინე იხსენიება ორჯერ: 25/09 „დედა ეფროსინე, რომელმან უწოდა თავსა თქსსა სამარაგდე“ და 15/02, ორივე შემთხვევაში მხოლოდ ხსენებაა, მაგრამ ეფროსინეს ცხოვრებიდან ჩანს ¹⁰ , რომ ერთსა და იმავე წმინდანზე არის საუბარი. ლექც.-ში და იზ-სთან ეფროსინე მოიხსენიება მხოლოდ ერთხელ 16/03, ვაიგივებთ დიდი სვინაქსარის თებერვლის ეფროსინესთან დროის პერიოდის მიხედვით
16/02	<i>პანფელე, ვალენტი, თეოდორე, ივლიანე და მეგვიპტელთა ხუთთა, წმიდანი</i>	პამფილე, ვალენტოსი, პავლე, პურფირი, თევდულე, ივლიანე, კესარიელნი და ეგვიპტელთა ხუთთა, მონამენი	პამფილე, ვალენტი, პავლე, პორფირი, სელევკო, თეოდულე და ხუთი მეგვიპტელი: ელია, იერემია, ესაია, სამოელ და დანიელ, მონამეები	პამფილე, ვალენტი, პავლე, პორფირი, სელევკო, თეოდულე და ხუთი მეგვიპტელი: ელია, იერემია, ესაია, სამოელ და დანიელ, მონამეები	ლექც.-ში ხსენებაა 06/02, გაიგივდა სახელების და დროის პერიოდის მიხედვით

¹⁰ Православная Энциклопедия, Евфросинья, იხ. ბმული: <https://www.pravenc.ru/text/187876.html>.

17/02	<i>მარკიანე მეფე</i>	მარკიანე მეფე		მარკიანე და პულპერია, მონუმენტი მეფენი	ეს არის რომის იმპერატორი მარკიანე (450-457 წწ.) და მისი მეუღლე, დედოფალი პულპერია. ბერნული სენაქსარის მიხედვით ხსენების დღეებია 17-18/02, 28/11 (Delehaye 1902: 1129). ლექც.-ში და იზ-სთან მარკიანე მეფე იხსენიება ორჯერ – 19/04 და 09/07, იზ-სთან კიდევ ერთი ხსენება 15/04. მართალია, ადრეული კალენდრების ხსენებები დროით დაშორებულია დიდი სვინაქსარის ხსენებას, მაგრამ, ვფიქრობთ, ერთსა და იმავე წმინდანებზეა საუბარი, სხვა წმინდანს მეფე მარკიანეს ვერ მივაკვლიეთ
17/02	ავქსიზი, კვიპრელი ეპისკოპოსი	<i>ავქსიზი ეპისკოპოსი</i>	ავქსივი, კვიპრელი ეპისკოპოსი	ავქსივი, კვიპრელი ეპისკოპოსი	იზ-სთან არის 19/02, გაიგივდა სახელების და დროის პერიოდის მიხედვით
21/02	<i>ზაქარია იერუსალიმელი ეპისკოპოსი; (წსენება...) ზაქარია იერუსალიმელი-სა, რომელმან დაწუვისა უკუანა აღაშტნა წმიდა სიონი და წმიდა ანასტასია და კათოლიკე და წმიდანი ეკლესიანი</i>	<i>ზაქარია იერუსალიმელი მთავარეპისკოპოსი; ზაქარია მთავარეპისკოპოსისა იერუსალიმელისა, რომელი ჯუარსა თანა წარიტყუნა, და მაკარი მთავარეპისკოპოსისა</i>		ზაქარია იერუსალიმელი	ლექც.-ში და იზ-სთან ერთად იხსენიება 31/01 (ლექც.-ში ეპისკოპოსად, იზ-სთან – მთავარეპისკოპოსად), 28/10 (ამ დღეს არის დამატებული დეტალები იზ-სთან); ლექც.-ში ცალკე იხსენიება 16/12 ეკლესიების შენებითურთ; გიორგისთან მხოლოდ ხსენებაა ერთხელ, ამ დღეს.

23/02	<i>პოლიკარტე, ეპისკოპოსი</i>	<i>პოლიკარპე, ეპისკოპოსი პმერნა ქალაქისა</i>		პოლიკარპე ზმირნელი ეპისკოპოსი, მღვდელმონაშე	ლექც.-ში და იზ-სთან ხსენებაა 22/02 და 28/02 (პოლიკარტე ეპისკოპოსის წამება) – გაიგივდა სახელების და დროის პერიოდის მიხედვით
25/02	ალექსანდრე მარტვილი	ალექსანდრე მარტვილი	ალექსანდრე, მონაშე	ალექსანდრე, რომელი იწამა დღიზიპარს	ალექსანდრე მონაშე ექვთიმესა და გიორგისთან ასევე იხსენიება 13/05 და ხსენებას დართული ტექსტების მიხედვით, ეს ერთი და იგივე წმინდანია. იზ-სთან კიდევ ერთი ხსენებაა 28/02
26/02	პორფირი ეპისკოპოსი	<i>პორფირი, ეპისკოპოსი, გაზელი</i>		პორფირი, ღაზელი ეპისკოპოსი	ლექც.-ში და იზ-სთან ხსენება ერთად 23/02; იზ-სთან კიდევ ხსენებაა 25/02; გიორგისთან მეორე ხსენება (ტექსტით) არის 02/03
07/03	არკათი და ნესტერეონი	არკათი და ნესტერეონი, კვიპრელი ეპისკოპოსები		არკადი და ნესტორი, ტრიმინთუნტელი ეპისკოპოსები	იზ-სთან კიდევ ხსენებაა 08/03
09/09	ორმოცი მონაშე	ორმოცი მონაშე		ორმეოცთა, რომელნი იწამნეს სევასტიას	ლექც.-ში არის კიდევ 25/08; იზ-სთან 18/07; გიორგისთან კიდევ ხსენება 28/08
10/03	<i>სოფრონ იერუსალიმელი ეპისკოპოსი</i>	<i>სოფრონ იერუსალიმელი ეპისკოპოსი</i>		სოფრონ იერუსალიმელი პატრიარქი	ლექც.-ში და იზ-სთან ერთად არის ხსენება 11/03
11/03	პინო	<i>პიონოს, მონაშე</i>		პიონი, მონაშე (ზმირნის)	ლექც.-ში იზ-სთან ერთად არის ხსენება 08/03; იზ-სთან ცალკე 07/03 (პინო); მეტი არსადაა
14/03	ქრისტინა	ქრისტინა	ქრისტინა სპარსი	ქრისტინა სპარსი	ლექც.-ში ხსენებაა (იზ-სთან ერთად) 15/03

